ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: ნ. ო., ადვოკატი ე. რ. /სიითი N/

საჩივრის ავტორთა წარმომადგენლები: ადვოკატი თ. ლ. /სიითი N /); ადვოკატი შ. ც. /სითი N /

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.12.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 157/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. კ.-ს /სიითი N / მიმართ.

ადვოკატ მ. კ.-ს წარმომადგენელი: ადვოკატი დ. მ. /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2019 წლის 13 დეკემბერს საჩივრით მომართეს ნ. ო.-მ და ადვოკატმა ე. რ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ მ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განცხადებით, 2019 წლის 09 დეკემბერს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაიმართა ბრალდებულ ი. კ.-ს პროცესი დაზარალებული არასრულწლოვანის ე. უ.-ს საქმეზე. პროცესის დაწყებამდე, დაზარალებულის დედა - ნ. ო. და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი ე. რ. იმყოფებოდნენ სასამართლოს შენობის მიმღებში. ადვოკატ ე. რ.-ს მოსამართლის თანაშემწემ განუცხადა, რომ ბრალდებული ჯერ არ იყო მიყვანილი სასამართლო შენობაში და მოუწევდათ დალოდება. შესაბამისად, სხდომის დაწყებამდე,

საჩივრის ავტორები დასხდნენ შენობის მიმღებში და საუბრობდნენ საქმესთან დაკავშირებით. მათგან ერთი მეტრის მოშორებით იჯდა ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი მ. კ., რომლის ვინაობაც არ იცოდნენ, რადგან მანამდე არ უნახავთ.

1.3 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატმა მ. კ.-მ ნ. ო.-ს აგრესიული ტონით მიმართა. კერძოდ, გამოჰკითხა ვინაობა, ჰკითხა იყო თუ არა ი. კ.-ს საქმესთან დაკავშირებით გამოცხადებული და თავადაც გაეცნო ნ. ო.-ს. აღნიშნულ დროს გახდა ცნობილი საჩივრის ავტორთათვის ადვოკატ მ. კ.-ს ვინაობა, რომელიც მანამდე, დაახლოებით 10-15 წუთის განმავლობაში უსმენდა ე. რ.-სა და ნ. ო.-ს საუბარს.

1.4 საჩივრის ავტორთა განმარტებით, მას შემდგომ, რაც ბრალდებული შემოიყვანეს სასამართლო შენობაში, ადვოკატი მ. კ. უფრო ცინიკური და აგრესიული გახდა. კერძოდ, მან „აგდებული ტონით“, ქუჩური სტილით „ეკაჩავა“ და მიმართა ნ. ო.-ს შეკითხვით, თუ რატომ არ ჰყავდა მას მიყვანილი სხვა მოწმეები სხდომაზე და ასევე, ოჯახის მეგობარი ზაზა (გვარი არ არის მითითებული). ადვოკატმა ე. რ.-მ შენიშნა, რომ ადვოკატ მ. კ.-ს მიმართვების გამო ნ. ო. ცუდად გახდა და იყო ძალიან გაოგნებული, რის გამოც ის საუბარში ჩაერია. კერძოდ, ე. რ.-მ ადვოკატ მ. კ.-ს კატეგორიულად მოსთხოვა, რომ შეეწყვიტა „მტრული და აგრესიული მოქმედებები“ მოწმის - ნ. ო.-ს მიმართ და აგრეთვე, განუმარტა, რომ სხვა მოწმეების სასამართლოში მოწვევა არ იყო მათი პრეროგატივა.

1.5 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატმა მ. კ.-მ, პასუხის ნაცვლად მისწი-მოსწია იქვე მყოფი ადამიანები და მანდატურს რამდენჯერმე კატეგორიულად მოსთხოვა მისაღებში მყოფი ათობით ადამიანების თანდასწრებით, ადვოკატ ე. რ.-ს სასამართლოს მისაღებიდან გაყვანა. კერძოდ, მიუთითა, რომ თითქოს ე. რ. მას თავს დაესხა და მოუწოდა დროზე გაეყვანათ „ეს ქალი“ სასამართლო შენობიდან.

1.6 საჩივრის ავტორის - ე. რ.-ს განმარტებით, მანდატურმა მ. კ.-ს განუცხადა, რომ მისი მითითება არ სჭირდებოდა და ვერ ხედავდა ჩარევის საფუძველს. ე. რ.-ს განცხადებით, მასზე, როგორც ადვოკატის მიმართ მ. კ.-ს მიერ განხორციელებულმა ქმედებამ უცხო ადამიანების თვალისწინ ეჭვქვეშ დააყენა მისი რეპუტაცია და ზოგადად ადვოკატის პროფესია.

1.7 ადვოკატ მ. კ.-ს ქმედება მიმართული იყო ნ. ო.-ს, როგორც მოწმის მორალურად გატეხვისკენ და ადვოკატის დისკრედიტაციისკენ. ადვოკატი მ. კ. მთელი სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას იყო ცინიკური და არაკოლეგიალური. კერძოდ, ის ნ. ო.-ს მიერ შეკითხვებზე პასუხისას ირონიულად იღიმებოდა და მოსამართლისკენ იყურებოდა.

1.8 ადვოკატ მ. კ.-სთან სასამართლო მისაღებში შეხვედრამ და პროცესზე მისმა ქმედებებმა ნ. ო.-ზე იმდენად იმოქმედა, რომ მისი სასამართლო სხდომაზე ჩვენება იყო არასრულყოფილი, ვერ იგებდა კითხვის შინაარს, იყო არაადეკვატური და კითხვის დასმის დროს იღიმებოდა.

1.9 ე. რ.-ს განცხადებით, ვინაიდან, ის ნ. ო.-ს, როგორც მოწმის ადვოკატი იყო ვერ შეძლო სასამართლო პროცესში ჩარევა. აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ნ. ო.-ს მეგობრების სიაში გაურკვეველი გზით აღმოჩნდა ადვოკატი მ. კ..

1.10 საჩივრის ავტორებმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს 2019 წლის 9 დეკემბერს, ბოლნისის რაიონული სასამართლოს შენობის ფოიეში განვითარებული მოვლენების ვიდეო ჩანაწერი, რომელიც გადაღებული იყო სასამართლო შენობაში დამონტაჟებული ვიდეო-კამერის მეშვეობით.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ მ. კ.-ს განცხადებით, 2019 წლის 09 დეკემბერს გამოცხადდა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, როგორც ბრალდებულ ი. კ.-ს დამცველი.

2.2 ადვოკატის განცხადებით, უჩვეულო არაა ის ფაქტი, რომ როდესაც პროცესი დანიშნულ დროს არ ტარდება, ადვოკატს სურს წინასწარ განსაზღვროს სხდომის ხანგრძლივობა, შესაბამისად, დააზუსტოს რამდენი მოწმე უნდა დაიკითხოს სხდომაზე, რადგანაც ადვოკატს ხშირ შემთხვევაში, სხვა საქმეზეც შეიძლება უწევდეს წასვლა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ბრალდებულის სასამართლო შენობაში მიყვანა დააგვიანდათ და შესაბამისად, სასამართლოს ფოიეში ელოდებოდა სხდომის დაწყებას. აღმოჩნდა, რომ ფოიეში იქვე, მასთან ახლოს, ისხდნენ ადვოკატი ე. რ. და ნ. ო., რომლებიც მანამდე მას არ ჰყავდა ნანახი. ადვოკატმა მ. კ.-მ ზოგადად იკითხა, „ნეტავ, მოწმეები თუ იყვნენ მის საქმეზე უკვე გამოცხადებულნი“ და შემდგომ მიმართა ნ. ო.-ს, ის ხომ არ იყო ივანე კლინიკაროვის საქმეზე მოწმე.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მან ნ. ო.-ს აგრეთვე ჰკითხა, „რამდენი იყვნენ მოსულები“ „ზაზა არ გყავთ მოყვანილი სხდომაზე“, (გვარი არ არის მითითებული), რაზეც ნ. ო.-მ უპასუხა, რომ ძმასთან ერთად იყო. აღნიშნული საუბრის დროს, მას უეცრად თავზე დაადგა ადვოკატი ე. რ. (რომლის ვინაობაც იმ დროს არ იცოდა) და ხმამაღალი ტონით მიმართა დაახლოებით ამ ფრაზით: „არ იცით, რომ მოწმეები ჩვენ არ მოგვყავს, პროკურატურას მოჰყავსო“. ამ შემთხვევის შემსწრე იყო ფოიეში მყოფი ადამიანები.

2.5 ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან, ე. რ.-ს ზემოაღნიშნული ქმედება იყო შეუსაბამო შეეშინდა და სთხოვა დახმარება დერეფანში მყოფ ბადრაგს. ადვოკატის განმარტებით, ე. რ.-მ ის სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებულ სტატუსში მოიხსენია ისე, თითქოს ის „ეკაჩავა“, რაც მას ნამდვილად არ გაუკეთებია.

2.6 ადვოკატის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ის სასამართლო დარბაზში ყოფნისას არღვევდა წესებს და მოქმედებდა ცინიკურად, ამას მოსამართლე რეაგირების გარეშე არ დატოვებდა. ადვოკატის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე მის მიერ დასმული შეკითხვები საქმესთან დაკავშრებით დასვა და ნ. ო.-ს დაბნევა აღნიშნულს არ გამოუწვევია, რადგან მოწმე როდესაც სიმართლეს ამბობს - ის არ იბნევა.

2.7 ადვოკატ მ. კ.-ს კლიენტმა ლარისა ოვასეპიანმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ადვოკატ მ. კ.-ს პროფილით ისარგებლა და მისი სახელით მეგობრობის შეთავაზება გაუგზავნა ნ. ო.-ს. ადვოკატის განმარტებით, მას არ ჰქონია რაიმე კონტაქტი სოციალური ქსელის მეშვეობით ნ. ო.-სთან.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 ნ. ო.-მ და ადვოკატმა ე. რ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2019 წლის 13 დეკემბერს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2019 წლის 09 დეკემბერს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და გადაწყვიტა, რომ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. კ.-ს მიმართ.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორ ნ. ო.-ს პრეტენზია ადვოკატ მ. კ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი, როგორც საჩივრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარის დამცველი აგრესიული და ცინიკური ტონით მიმართავდა ნ. ო.-ს, როგორც სასამართლოს ფოიეში ყოფნისას, აგრეთვე, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. კ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).
>
> ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს. ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან.... (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში „ეთიკის კოდექსი“), მუხლები 9.1, 9.4)

5.3 ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის იმ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. (იხ. ეთიკის კომისიის 03/10/2012 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 025/15 პარ. 7.3).

5.4 „ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ თავისი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარეს. ადვოკატის ვალდებულებაა, ნებისმიერ

სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, მოთმინება, არ უპასუხოს მისი მისამართით გაკეთებულ პროვოკაციულ შეფასებებს და პატივი სცეს თავის საქმიანობას“ (იხ. ეთიკის კომისიის 24/01/2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №075/11 პარ.3.6).

5.5 საჩივრის ავტორ ნ. ო.-ს პირველი პრეტენზია ეხება 2019 წლის 09 დეკემბერს, სასამართლო სხდომის დაწყებამდე, ბოლნისის რაიონულ სასამართლოს დერეფანში ე. რ.-სთან ერთად ყოფნის დროს ადვოკატ მ. კ.-სთან შეხვედრას.

5.6 კოლეგიამ შეაფასა ნ. ო.-ს პრეტენზია ადვოკატ მ. კ.-ს მიმართ საქმეში წარმოდგენილი ჩანაწერის საფუძველზე (იხ. 2019 წლის 09 დეკემბრის ბოლნისის რაიონულ სასამართლოს დერეფანში დამონტაჟებული ვიდეო კამერის მეშვეობით დაფიქსირებული ვიდეო-აუდიო ჩანაწერი), რომლის მიხედვითაც 016:47 წთ.ზე ისმის ადვოკატ მ. კ.-ს ხმა შემდეგი სიტყვებით: „მოსულები ხართ?...რა გგონიათ ეხლა? თქვენ ვინ ხართ? (სავარაუდოდ, მიმართავს ადვოკატ ე. რ.-ს). ამ დროს, ადვოკატი მ. კ. სავარაუდოდ ზის ნ. ო.-სთან და ადვოკატ ე. რ.-სთან ახლოს სასამართლოს ფოიეში (ვიდეო ჩანაწერით არ ჩანს ფოიეს ის კუთხე, რომლის მხარესაც სხედან საჩივრის ავტორები და ადვოკატი მ. კ.). შემდგომ, ადვოკატი მიმართავს ნ. ო.-ს შეკითხვებით: „ქალბატონია დედა, ბავშვის ხომ? თქვენ ხართ დედა? დაზარალებული ბავშვის ხომ? ... არა შეგეკითხეთ უბრალოდ“; ადვოკატი მ. კ.: 18:43 „ეს თქვენი ძმა არის? ზაზა რატომ არ მოიყვანეთ?“ შეკითხვებზე პასუხი გარკვევით არ ისმის, თუმცა ისმის ზოგ შეკითხვაზე ნ. ო.-ს პასუხი: „დიახ“.

5.7 შესაძლებელია, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ მ. კ.-ს შეკითხვები არ იყო მისაღები საჩივრის ავტორისთვის და თავისთავად არ სურდა მასთან კომუნიკაცია, თუმცა სასამართლო დერეფანში მათ შორის არსებული დიალოგი ვერ შეფასდება ადვოკატის მიერ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს გარეთ მოქმედებად. ზემოაღნიშნული ჩანაწერით, არ დგინდება ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის - ნ. ო.-ს მიმართ გამოხატული კომუნიკაციის ისეთი ფორმა (მათ შორის ხმამაღალი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული ტონი), რომელსაც შესაძლებელია, პროცესის მონაწილე უფლებების შელახვა გამოეწვია.

5.8 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის - ნ. ო.-ს მიერ წარმოდგენილ მეორე პრეტენზიასთან დაკავშირებით, რაც ეხება სასამართლო სხდომაზე მის მიმართ ადვოკატ მ. კ.-ს ქცევას (იხ. პუნქტი: 1.7).

5.9 საქმეში არსებული მტკიცებულების - ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 09 დეკემბრის სხდომის ჩანაწერის მიხედვით, ირკვევა, რომ ნ. ო., საქმესთან დაკავშირებით, როგორც მოწმის სტატუსით ისე გამოიკითხა, მათ შორის მან უპასუხა ადვოკატ მ. კ.-ს შეკითხვებს. ჩანაწერით დგინდება, რომ ადვოკატი ჩვეულებრივ ტონალობაში სვამდა შეკითხვებს, რომელსაც პასუხობდა ნ. ო., როგორც მოწმე.

5.10 ადვოკატ მ. კ.-ს სასამართლო სხდომებზე გაჟღერებული პოზიციები ბუნებრივია ვერ იქნებოდა მოსაწონი საჩივრის ავტორისთვის ვინაიდან, ის წარმოადგენდა არა საჩივრის ავტორის, არამედ მისი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. სასამართლო სხდომაზე საჩივრის ავტორის, როგორც პროცესის მონაწილე პირის მიმართ ზეწოლის განხორციელებას არ წარმოადგენს საჩივრის

ავტორის მითითება, იმის თაობაზე, რომ ადვოკატის ქმედებებმა, მათ შორის მის მიერ სასამართლო სხდომაზე შეკითხვების დასმამ მისი დაბნევა გამოიწვია. მოცემული ჩანაწერით არ დასტურდება, რომ ადვოკატი ნ. ო.-ს, როგორც მოწმეს მიმართავდა ისეთი ფრაზებით ან მის მიმართ გამოხატა ისეთი სახის არავერბალური კომუნიკაცია, მათ შორის ჟესტიკულაცია, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა კოლეგიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ემსჯელა ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილე უფლებების შელახვის დარღვევის თაობაზე.

5.11 ადვოკატი მ. კ. წარმოადგენდა არა ნ. ო.-ს, არამედ მისი მოდავე მხარის ინტერესებს და შესაბამისად, მას თავისი კლიენტების ინტერესების წარმოდგენის ფარგლებში უნდა ემოქმედა და არა საჩივრის ავტორის ინტერესების სასარგებლოდ.

5.12 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ნ. ო.-ს საჩივარზე ადვოკატ მ. კ.-ს მიმართ, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან არ არსებობს ამ ნაწილში ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ) მუხლის და ეთიკის კოდექსის 9.1, 9.4 მუხლების დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.13 საჩივრის ავტორ ადვოკატ ე. რ.-ს პრეტენზია ადვოკატ მ. კ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ბოლნისის რაიონული სასამართლოს დერეფანში ყოფნის დროს, ათობით ადამიანების თანდასწრებით, ადვოკატმა მ. კ.-მ რამდენჯერმე კატეგორიულად მოსთხოვა იქვე მყოფ ბადრაგს, რომ მისგან შორს, სასამართლოს მისაღებიდან გაეყვანა ადვოკატი ე. რ.. კერძოდ, მიუთითა: „დროზე გაიყვანეთ ეს ქალი, ვერ ხედავთ თავს დამესხა?“.

5.14 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მხრიდან შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე**:**

> ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).
>
> ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).

5.15 ადვოკატი სარგებლობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით. „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია“ (საქართველოს კონსტიტუცია 17(1) მუხლი). აღნიშნული უფლება აბსოლუტური არ არის, რაც ნიშნავს, რომ იგი შესაძლოა რიგ შეზღუდვებს დაექვემდებაროს. „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“(საქართველოს კონსიტუტცია მუხლი 17(5)). სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებს აგრეთვე, ითვალისწინებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონიც (მუხლი 9.1), რომელიც მოიცავს ჩანაწერებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ რეგულირებასთან დაკავშირებით.

5.16 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ადვოკატის საქმიანობისათვის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელად მიიჩნევს კოლეგიალობის პრინციპს. აღნიშნული პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

5.17 ადვოკატის მიერ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში მოქმედება თავისთავად მისი პროფესიული ვალდებულებაა, რაც მოიცავს კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ფარგლებში მოქმედებასაც. „ადვოკატმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობის განხორციელებისას უნდა დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რომლის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობის და პატივისცემის დამკვიდრება. ადვოკატმა არ უნდა დაუშვას კოლეგის მიმართ უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მათ შორის წერილობით შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. ადვოკატმა პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ უნდა იმოქმედოს და ამავე დროს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულება და პატივისცემა შეინარჩუნოს, არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების ეტაპზე, არამედ ზოგადად, პროფესიული თუ ყოფითი ურთიერთობისას. ადვოკატმა პატივი უნდა სცეს თავის საქმიანობას და ყოველდღიური საქმიანობით, უნდა იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 05/02/19 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 047/18, §5.4).

5.18 „ადვოკატები უნდა ზრუნავდნენ კონფლიქტური მდგომარეობის განმუხტვისაკენ და აუცილებლად უნდა სცენ პატივი ურთიერთპროფესიულ ღირსებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 25/05/2016 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 094/14).

5.19 საქმეში წარმოდგენილი ბოლნისის რაიონული სასამართლოს დერეფანში დამონტაჟებული კამერის მეშვეობით დაფიქსირებული 2019 წლის 09 დეკემბრის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორ ადვოკატ ე. რ.-ს პრეტენზიის ფარგლებში. ჩანაწერის მიხედვით, ირკვევა, რომ ადვოკატ მ. კ.-ს მიერ ნ. ო.-სთვის შეკითხვების დასმის დროს ადვოკატი ე. რ. სავარაუდოდ უახლოვდება სკამზე მჯდომ ადვოკატ მ. კ.-ს და მათ შორის ისმის შემდეგი დიალოგი:

0:18:53 ადვოკატი ე. რ.: „თქვენი გადასაწყვეტი არ არის ვის მოვიყვანთ ვის არ მოვიყვანთ“; ადვოკატი მ. კ.: „სასამართლო ხომ არ არის ვიკითხე“. ადვოკატი ე. რ.: „ნ.-ს უნდა მოეყვანა? ვინ იმაშვება ბრალდების მხარის მოწმეებს...“

0:19:13 ადვოკატი მ. კ.: „გაიყვანეთ რა ერთი რა ბადრაგო რა, რა უნდა ერთი. მე ვზივარ და მომადგა აქ.“

0:19:21 ადვოკატი ე. რ.: „ცოტა ზედმეტი მოგდით“

0:19: 23 ადვოკატი მ. კ.: „გაიყვანეთ“

0:19: 24 ადვოკატი ე. რ.: „გასაყვანი ხართ თქვენ... გაიყვანეთ უნდა უთხრათ კოლეგას?“

0:19:36 ადვოკატი მ. კ.: „არ გეკითხებით არაფერს, ძალიან გთხოვთ დაამშვიდეთ“

0:19:40 ადვოკატი ე. რ.: „პროვოკატორი ეს“

0:19:41 ადვოკატ მ. კ.-ს მიმართავს სასამართლო დერეფანში მყოფი ბადრაგი: „ქალბატონო არ გვჭირდება შეხსენება რა გავაკეთო, მოქალაქეს მოვუწოდო ან რამე მოქმედება გავაკეთო. ერთმანეთში კონფლიქტში ნუ შეხვალთ დამშვიდდით დაწყნარდით.“

5.20 ზემოაღნიშნული დიალოგი ცხადყოფს რომ კოლეგებს შორის წარმოიქმნა კონფლიქტი, რაც უკავშირდებოდა ნ. ო.-ს საქმეს. ერთი მხრივ, საჩივრის ავტორი ე. რ. იცავდა მისი კლიენტის - ნ. ო.-ს, როგორც მოწმის ინტერესებს და მეორე მხრივ, ადვოკატი მ. კ. დაპირისპირებული მხარის - ბრალდებულის ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ადვოკატ მ. კ.-ს მიერ საჩივრის ავტორისადმი მითითებას შემდეგი ფრაზით „გაიყვანეთ“, წინ უსწრებდა ე. რ.-ს მიერ მასთან მისვლა და გამოლაპარაკება, რამაც შემდგომ მათ შორის წარმოქმნა უთანხმოება. როგორც ადვოკატ მ. კ.-ს განმარტებიდან ირკვევა, მისი მიზანი არ ყოფილა კოლეგის შეურაცხყოფა და სასამართლოს ფოიეში ყოფნისას, ადვოკატ ე. რ.-ს „გაყვანა“ ბადრაგს მხოლოდ იმიტომ მოსთხოვა, რომ ადვოკატი ე. რ. იქვე სკამზე მჯდომს უეცრად დაადგა თავზე და მიმართა ხმამაღალი ტონით.

5.21 საპროცესო კოლეგია ორივე მხარეს, როგორც კოლეგებს მოუწოდებს, რომ ერთმანეთთან ურთიერთობისას გამოიჩინონ ერთმანეთისადმი პატივისცემა, იმოქმედონ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, დაიცვან ადვოკატის პროფესიული ღირებულებები და მხოლოდ ამ მიზნის ფარგლებში განახორციელონ პროფესიული საქმიანობა. მით უფრო, ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელიც კოლეგის მიერ შეურაცხმყოფელად იქნება აღქმული. ის გარემოება, რომ კოლეგები შესაძლოა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესის მქონე კლიენტებს იცავდნენ, არ უნდა იყოს მათ შორის მტრული დამოკიდებულების ან კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზი.

5.22 საპროცესო კოლეგიამ დაადგინა, რომ ჩანაწერის მიხედვით, ადვოკატ მ. კ.-ს არ მიუმართავს აგრესიული ტონით საჩივრის ავტორისათვის ან ისეთი ფრაზით, რაც საფუძველის მისცემდა ეთიკის კომისიას კოლეგიალობის პრინციპის დარღვევით აღეძრა ადვოკატ მ. კ.-ს მიმართ დისციპლინური დევნა.

5.23 შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, არ არსებობს ადვოკატ მ. კ.-ს მიმართ, ეთიკის კოდექსის მე-7 და 10.1 მუხლების დარღვევით დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.24 შესაბამისად, ადვოკატ მ. კ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა საჩივრის ავტორების მიერ დასახელებული პრეტენზიების ნაწილში, რადგან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დგინდება ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ), ეთიკის კოდექსის 9.1, 9.4, 7 და 10.1 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტები.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №157/19 ადვოკატ მ. კ.-ს მიმართ /სიითი№/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/